სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

შპს „ლოდინარო“ საქონლის ფერმას აშენებს ონში

შპს „ლოდინარო“, მთავრობის დადგენილების თანახმად, საქონლის ფერმას სოფელ წედისში ააშენებს (ონის მუნიციპალიტეტი, რაჭა). ამ მიზნით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა კომპანიას გადაეცემა იჯარით 25 წლის ვადით. საქმე ეხება საძოვრებს (324 391, 98 755 და 74 297 კვ.მ მიწის ნაკვეთები) აღნიშნულ სოფელში. წლიური საიჯარო გადასახადი შეადგენს 1 062 ლარს. შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ 19 თვის განმავლობაში კომპანიამ უნდა მოაწყოს ფერმა მინიმუმ 60 სულ საქონელზე 4 000 კვ.მ-ზე 95 000 ლარი ინვესტიციის მეშვეობით. შპს „ლოდინარო“ რეგისტრირებულია ონის მუნიციპალიტეტში 2016 წლის ივნისში. მისი ერთადერთი მფლობელია პაატა მაისურაძე.

Sarke Information News, 28 თებერვალი, 2017 წელი

USAID-ის მხარდაჭერით თხილის და ნუშის ბაზრის მიმოხილვა უნდა მომზადდეს

ახალი შესაძლებლობები თხილის და ნუშის ბაზართან დაკავშირებით იქნება განსაზღვრული USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის REAP („საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენა“) ფარგლებში. იმისათვის, რომ მომზადდეს აღნიშნული ბაზრის მიმოხილვა REAP-ის ფარგლებში, გამოცხადდა კონკურსი ადგილობრივი საკონსულტაციო კომპანიების და საგანმანათლებლო ინსტიტუტებისთვის. საბუთები მიიღება 28 თებერვლამდე. REAP გათვლილია 5 წლის ვადისთვის და მისი ბიუჯეტი შეადგენს 19,5 მილიონ აშშ დოლარს.

Sarke Information News, 23 თებერვალი, 2017 წელი

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: მიმდინარეობს გარდაბანის სარწყავი სისტემის მე-14 სარქველის რეაბილიტაცია

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით შპს „საქართველოს მელიორაცია“ ატარებს გარდაბნის სარწყავი სისტემის (ქვემო ქართლის რეგიონი) მე-14 სარქველის რეაბილიტაციას. პროექტის დასრულების შემდეგ 2018 წლის სარწყავი სეზონისთვის სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება 900 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწაზე, განაცხადეს სამინისტროში. სამუშაოები მიმდინარეობს 2016 წლის სექტემბრიდან. პროექტის ღირებულება მითითებული არ არის. სამინისტროს განცხადებით 23 სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელების შედეგად ქვემო ქართლის რეგიონში 2012 წლიდან „ფაქტობრივად გაორმაგდა სარწყავი სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობი“.

Sarke Information News, 17 თებერვალი, 2017 წელი

ENPARD: ევროკავშირის მხარდაჭერით აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარეობს გადამზადების პროგრამა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ევროპის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამეზობლო პროგრამის ფარგლებში (ENPARD) დაიწყო გადამზადების ახალი ეტაპი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრებისთვის, განაცხადა ENPARD-ის წარმომადგენლობამ. ეს ეტაპი დაიწყო თებერვალში და დამთავრდება მარტში. გადამზადებას ატარებს ესპანური კომპანია Evoluxer, რომელიც ახორციელებს პროექტს „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოს გაძლიერება“. ENPARD-ის ცნობით 558 მონაწილე შეისწავლის ბიზნესის დაგეგმვას გადამზადების დროს, რომელიც ტარდება აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი და კახეთი). გადამზადება ასევე ჩატარდება 2 ჯგუფისთვის თბილისში. როგორც ENPARD-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, აქამდე Evoluxer-მა

საქართველოს მასშტაბით ჩაატარა გადამზადება მენეჯერებისათვის და კოოპერატივების წევრებისთვის სხვადასხვა მოდულებში, მათ შორის, საგადასახადო და ფინანსურ აღრიცხვაში (410 სტუდენტი), თანამშრომლობის საკითხებში (999 სტუდენტი), ბიზნეს დაგეგმვაში (360), თხილის წარმოებასა და პირველად გადამუშავებაში (171).
Sarke Information News, 17 თებერვალი, 2017 წელი

სოფლის მეურნეობის მინისტრი: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის ღირებულება გაიზარდა 2016 წელს 13,1%-ით
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, 2016 წელს საქართველოდან ექსპორტზე გატანილმა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა 692,2 მლნ აშშ დოლარი. 2015 წელთან შედარებით მოცულობა გაიზარდა 13,1%-ით. თავის მხრივ, იმპორტი იმავე კატეგორიაში 4%-ით შემცირდა. ეს ნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო სეგმენტის უარყოფითი ბალანსი შემცირდა 25%-ით, ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. საანგარიშო წელს ძირითადი საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია იყო თხილი, ყურძნის ნატურალური ღვინოები, ალკოჰოლური სასმელები, მინერალური და მტკნარი წყლები და პირუტყვი. კერძოდ, ალკოჰოლურ სასმელებზე მოდიოდა 91,8 მილიონი აშშ დოლარი (წლიური ზრდა - 41,5%), ღვინის ექსპორტზე - 113,5 მილიონი აშშ დოლარი (ზრდა - 18,5%), მეცხოველეობაზე - 36,8 მილიონი აშშ დოლარი (ზრდა - 83,3%). გარდა ამისა, თევზის ფქვილის ექსპორტის მოცულობა იყო 15,2 მილიონი აშშ დოლარი (ზრდა - 41,8%), ბოსტნეულის - 8 მილიონი აშშ დოლარი (ზრდა - 21,8%). 2016 წელს საქართველოდან გატანილი იქნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია 88 ქვეყანაში (79 ქვეყანა - 2015 წელს). სამინისტრომ ხაზი გაუსვა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის ღირებულება ევროკავშირში გაიზარდა საანგარიშო წელს 12,1 მილიონ აშშ დოლარამდე (5,8%) და აღნიშნა, რომ ეს ზრდა ძირითადად განპირობებული იყო ალკოჰოლური სასმელების, თხილის, ყურძნის ნატურალური ღვინოების და მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტის ზრდით.
Sarke Information News, 16 თებერვალი, 2017 წელი

ღვინის ეროვნული სააგენტო: 12 დასახელების ქართულმა ღვინომ მოიპოვა ჯილდოები იაპონიაში
საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით 12 დასახელების ქართული ღვინო აღმოჩნდა საუკეთესოთა შორის მე-4 კონკურსში "Sakura" Japan Women's Wine Awards ტოკიოში. საერთო ჯამში 4 212 დასახელების ღვინომ 37 ქვეყნიდან მონაწილეობა მიიღო ამ ღონისძიებაში. სააგენტოს ცნობით კომპანია „ვაზიანის" ღვინომ „საფერავი" (2015) მოიგო „ორმაგი ოქროს" ჯილდო, „ოქრო" მიენიჭა „ბინეხის" „საფერავს" (2015), „კონდოლის" „საფერავს" (2014) და „სატრაპეზო საფერავს" (2013) „თელავის ღვინის მარანისგან", „მილდიანის" ქინძმარაულს (2014), კომპანია „ვაზიანის" „ქისს" (2015), მეღვინეობის კომპანია „ხარებას" „საფერავს" (2013). „ორმაგი ოქროს" გამარჯვებულები წარმოდგენილი იქნებიან საერთაშორისო გამოფენაზე "Foodex Japan" 7 მარტს და იბრძოლებენ უმაღლესი ჯილდოსთვის "Diamond Trophy". 2016 წელს საქართველოდან გატანილი იქნა 160 000 ბოთლი ღვინო იაპონიაში, რაც 2015 წლის მონაცემს 15%-ით აღემატება.
Sarke Information News, 15 თებერვალი, 2017 წელი

სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი

სომხეთის ტურიზმის დღის წესრიგი ბევრ ფესტივალს მოიცავს
სომხეთის ტურიზმის დღის წესრიგში ბევრი ფესტივალია. წელს გაიმართება ტურიზმის ბევრი ფესტივალი, რომლებიც ტრადიციული გახდა, ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტის პრეს-სამსახურმა განუცხადა „არმენპრესს". წელს, როგორც ყოველთვის, ღვინის ფესტივალი გაიმართება ოქტომბერში, სოფლებში - რინდი და არენი. მოეწყობა პროფესიული ღვინის

მწარმოებლების და ოჯახში წარმოებული ღვინის გამოფენა-გაყიდვა. ღვინის მწარმოებლების კონკურსი, ხალიჩების გამოფენა, ეროვნული მუსიკის კონცერტი, ცეკვები, სპორტული შეჯიბრი და თეატრალური წარმოდგენები გაიმართება ფესტივალის ფარგლებში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება არის მწვადის ფესტივალი, რომელიც ჩატარდება აგვისტოში. რესტორნები, სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლები წარმოადგენენ მწვადის მომზადების ოსტატობას. ღონისძიებაზე იქნება სომხური სიმღერები და ცეკვები. ნოემბერში დოლმის ფესტივალი გაიმართება მუსალერის მემორიალურ კომპლექსში. ეს ღონისძიება მიზნად ისახავს სომხური სამზარეულოს განვითარებას. ღონისძიების მონაწილეები მოამზადებენ ტრადიციულ კერძებს თავისი რეცეპტებით. თუთის ხის ფესტივალი გაიმართება გორისში ივლისში. მონაწილეები ძირითადად იქნებიან გორისის სოფლების თემები, სადაც ტრადიციულად მზადდება თუთის არაყი. სექტემბერში ჩატარდება გათას ფესტივალი ვაიოც ძორში. ფესტივალის მონაწილეები წარმოადგენენ ეროვნული სამზარეულოს ტრადიციულ კერძებს, მომზადდება გიგანტური გათა. თაფლის და კენკროვანების ფესტივალი გაიმართება ქალაქ ბერდში, ტავუშის პროვინცია, აგვისტოში. ღონისძიებას დაესწრებიან ბერდის და მიმდებარე რეგიონების მეფუტკრეები, ფერმერები, მწარმოებლები. სტუმრები დააგემოვნებენ რეგიონის უგემრიელეს თაფლს და კენკროვან ხილს. ფესტივალის ფარგლებში ასევე იქნება ორგანიზებული კონცერტი. ყოველ წელს ბევრი ხელოვანი მონაწილეობს ფესტივალში საქველმოქმედო მიზნებისათვის. ფესტივალის მიზანია ხელი შეუწყოს ქალაქ ბერდის ეკონომიკურ და ტურისტულ განვითარებას. ფესტივალების რაოდენობა ამით არ შემოიფარგლება. ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტის ინფორმაციით ეს ფესტივალები ტურ-ოპერატორების და ტურისტების ყურადღების ცენტრშია. „დღეს ბევრი ტურისტია, რომლებიც ჩამოდიან სომხეთში, რათა მონაწილეობა მიიღონ ფესტივალებში. აქ ძალიან მნიშვნელოვანია ტურ-ოპერატორების როლი, რომლებიც ფესტივალს რთავენ ტურისტულ პაკეტებში და ამით ხელს უწყობენ ტურისტული ჯგუფების მონაწილეობას ფესტივალებში", განაცხადეს კომიტეტში. ტურიზმის დეცენტრალიზაცია პროვინციებში, ტურიზმის გაფართოება სხვადასხვა თემებში, თემებში ეკონომიკური პოტენციალის აღმოჩენა შიდა და საერთაშორისო ბაზრისთვის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი საკითხებია. ეს ფესტივალები ასევე არის სომხეთის ტურიზმის დივერსიფიკაციის ინსტრუმენტი. იქიდან გამომდინარე, რომ მოთხოვნა ფესტივალებზე თანდათან მატულობს, საჭიროა შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა. ეს ღონისძიებები ხელს უწყობს აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნას მასპინძელ და მიმდებარე თემებში, კერძოდ, იზრდება სასტუმროების რაოდენობა.
ARMENPRESS, 1 მარტი, 2017 წელი

სომხეთის ფქვილის წარმოება იზრდება
4,1 ათასი ტონა „დორი“ იყო წარმოებული იანვარში სომხეთში 2017 წელს. სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, ეს 18%-იანი ზრდაა 2016 წლის იანვართან შედარებით. ამავე დროს, პურის წარმოება შემცირდა 2,3%-ით და შეადგინა 22 974 ტონა 2017 წლის იანვარში. მცენარეული ზეთის წარმოება შემცირდა 48,2%-ით და 40,9 ტონა გახდა.
ARMENPRESS, 1 მარტი, 2017 წელი

სპეციალური სამოქმედო გეგმა სასაზღვრო ტერიტორიის თემებისთვის
სომხეთის მთავრობა შეიმუშავებს სპეციალურ სამოქმედო გეგმას, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას აზერბაიჯანის საზღვართან ახლომდებარე თემებში, განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა იგნატ არაქელიანმა , როდესაც მიმართა Oxfam-ის სომხეთის ოფისის მიერ სომხეთის სოფლის-მეურნეობის ალიანსთან ერთად ინიცირებულ ფერმერთა კონგრესს. მისი თქმით, აუცილებელია იმის გაგება, თუ რა პოტენციალი აქვს საზღვრის თემებს და რა არის მათთვის უპირატესი. „ჩვენ გადაწყვეტილებებს მივიღებთ კლიმატური და ტერიტორიული მახასიათებლების საფუძველზე“, განაცხადა არაქელიანმა. მან აღნიშნა, რომ მთავრობა განიხილავს იჯარის პროგრამას, რომელიც საშუალებას მისცემს

ფერმერებს შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა დაბალ საპროცენტო განაკვეთებში. მისი თქმით, საწყის ეტაპზე გადასახდელი იქნება მთლიანი თანხის 20% და იჯარის ვადა დამოკიდებული იქნება შეძენილი ტექნიკის ტიპზე (3-დან 10 წლამდე). მან დასძინა, რომ საპროცენტო განაკვეთები არ იქნება 2-3%-ზე მეტი.
ARMENPRESS, 28 თებერვალი, 2017 წელი

სომხეთში კონსერვის წარმოება იზრდება
14,5 ტონაზე მეტი კონსერვი იყო წარმოებული სომხეთში 2016 წელს. სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (NSS) ცნობით, მაჩვენებელი გაიზარდა დაახლოებით 30 პროცენტით წინა წელთან შედარებით. წარმოებული იყო 4,2 ტონა დაკონსერვებული ხილი, 5,8 ტონა დაკონსერვებული ბოსტნეული, 1,2 ტონაზე მეტი ხორცის და ბოსტნეულის კონსერვი, 2,4 ტონა დაკონსერვებული პომიდორი, დაახლოებით 564 ტონა დაკონსერვებული ხორცი, 231 ტონა თევზის კონსერვი და 2016 ტონა კიბორჩხალას კონსერვი. უფრო მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა თევზის კონსერვის წარმოებაში, წარმოების მოცულობის გაიზარდა 3-ჯერ.
ARMENPRESS, 27 თებერვალი, 2017 წელი

მზის პანელების წარმოება დაიწყება სომხეთში
მზის პანელების წარმოება მალე დაიწყება სომხეთში. ამ მიზნით შეიქმნება საწარმო, რომელიც უნიკალური იქნება რეგიონში, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში განუცხადა ARMENPRESS-ს მინისტრის მოადგილე ჰაიკ ჰარუტუნიანმა. მის თქმით, მზის პანელების წარმოება დაიწყება 2017 წლის მესამე კვარტალში. 315 მილიონ დრამზე მეტი ინვესტიცია უნდა განხორციელდეს საწყის ეტაპზე, შეიქმნება 50-ზე მეტი სამუშაო ადგილი. კომპანია გეგმავს მიაწოდოს მზის პანელები შიდა ბაზარზე საწყის პერიოდში. 23 თებერვალს მთავრობამ გადაწყვიტა მოხსნას გადასახადები PROFPANEL LLC-სთვის ტექნიკური აღჭურვილობის, დეტალების და სხვა მასალების მიწოდებაზე საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში.
ARMENPRESS, 24 თებერვალი, 2017 წელი

ტექნიკური დახმარება სომხეთისთვის რესურსების დამზოგავი სოფლის მეურნეობის განვითარებაში
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია მზად არის დაეხმაროს სომხეთს რესურსების დამზოგავი სოფლის მეურნეობის განვითარებაში, პროგრამის ხელმძღვანელმა ვაჰან ამირხანიანმა განუცხადა საინფორმაციო სააგენტო ARKA-ს. ტექნიკური დახმარება იქნება ევროპის სამეზობლო პროგრამის სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD) ნაწილი. ამირხანიანმა აღნიშნა, რომ სომხეთის პრობლემა არის სპეციალური ტექნიკის დეფიციტი, რაც აფერხებს რესურსების დამზოგავი სოფლის მეურნეობის განვითარებას. ქვეყანას აქვს მხოლოდ ოთხი სათესი მანქანა. მან განაცხადა, რომ შესაბამისი ცენტრები შეიქმნება ექვს პროვინციაში და მოამზადებენ ფერმერებს ამ ტექნიკის გამოყენებაში. ამირხანიანმა განაცხადა, რომ პროგრამას აქვს რამდენიმე მიმართულება, რაც მოიცავს ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების ძალისხმევას, სტიქიური უბედურებების დროს ადაპტაციას, ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებას და მიწის მართვის საკითხებს. „ჩვენ ასევე ჩავატარეთ კვლევა ნიადაგის დეგრადაციის პროცესზე კლიმატის ცვლილების გავლენის დასადგენად და წარვუდგინეთ წინადადებების პაკეტი მიწის ნაყოფიერების შენარჩუნების საკითხზე“, განაცხადა მან და დასძინა, რომ ეს უკვე კეთდება შირაქის და ლორეს პროვინციებში. სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური დახმარების პროგრამა, როგორც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENPARD-ის ნაწილი, დაიწყო 2015 წელს და დასრულდება 2017 წელს. მისი საერთო ღირებულებაა 2 მილიონი ევრო.
ARMENPRESS, 23 თებერვალი, 2017 წელი

250-ზე მეტი სახეობის ყურძენი სომხეთში

სპეციალურ ვენახებში სომხეთში 250-ზე მეტი სახეობის ყურძნის კულტივირება ხდება, გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) რეგიონული ოფისის ექსპერტმა ავეტიკ ნერსისიანმა განუცხადა საინფორმაციო სააგენტოს ARKA. მან განაცხადა ასევე, რომ შეიქმნა სანიმუშო ბაღი, რომელიც გამოყენებული იქნება ადგილობრივი ფერმერებისთვის სპეციალური სასწავლო კურსის ჩასატარებლად, სადაც მათ ასწავლიან როგორ უნდა გამოიყენონ ახალი ტექნოლოგიები. მან ასევე თქვა, რომ FAO-ს დახმარებით მოხდა ბოსტნეულის და ბაღჩეული კულტურების ცენტრის ტექნიკური აღჭურვა, სადაც მოხდება სომხეთში ტრადიციული სახეობის ბოსტნეულის მოყვანა. „ექსპერტებმა არაერთხელ გაგვაფრთხილეს, რომ ზოგიერთი ტრადიციული სომხური სახეობის ბოსტნეული შეიძლება დაიკარგოს. ამან გვაიძულა მიგვეღო გადაწყვეტილება, რომ განვავითაროთ და შევინარჩუნოთ სომხური სახეობის ბოსტნეული და მოვახდინოთ მათი წარმოების სტიმულირება“, განაცხადა ნერსისიანმა. მისი თქმით, ცენტრი სათანადოდ არის აღჭურვილი იმისთვის, რომ მოაშენოს სომხური სახეობის ბოსტნეული თესლის საწარმოებლად და ფერმერებთან იდება კონტრაქტები თესლის მიწოდებაზე. FAO-სთან თანამშრომლობით გაშენდა გარგარის ბაღი რამდენიმე წლის წინ სომხეთში, სადაც შეკრიბეს ქვეყნის ყველა ძირითადი სახეობის გარგარი. წარმატებული გამოცდილების გათვალისწინებით გადაწყდა, რომ ერთობლივი ძალით გაშენდეს ვენახი, სადაც შენარჩუნებულ იქნება არსებული ვაზის სახეობები, რაც აუცილებელია მევენახეობის განვითარებისთვის. კვლევები აჩვენებს, რომ სომხეთში იყო 600-ზე მეტი ჯიშის ყურძენი. დღეს მხოლოდ 60 სახეობის მოყვანა ხდება.

ARMENPRESS, 22 თებერვალი 2017

ტავუში: საბაგიროს მშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო ბიზნესი და ღვინის წარმოება

საინვესტიციო პროექტები ტავუშის პროვინციაში მზად არის და ელოდება ინვესტორებს. ტავუშის გუბერნატორის აპარატის ანალიზის და განვითარების პროგრამების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გურგენ ჰარუტუნიანმა აცნობა ARMENPRESS-ს, რომ მრავალი საინვესტიციო პროგრამა უკვე მოიწონა მთავრობამ. ჰარუტუნიანის თქმით, საინვესტიციო პროექტების მიხედვით ტავუშში არსებობს ინვესტირების უამრავი შესაძლებლობები. რიგმა თემებმა წარმოადგინეს თავიანთი საინვესტიციო პროგრამები და მოხდება მთავრობის მიერ დამტკიცებული პროგრამების დაფინანსება. სოფელ განდზაკარში შემოთავაზებულია პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მწვანილის მოყვანას, გადამუშავებას და მარკეტინგს. სოფელ ჰაგტანაკში წარდგენილია ზეითუნის და სხვა მცენარეული ზეთის წარმოების პროგრამა. „შემოთავაზებულია იჯევანში დაუმთავრებელი საბაგიროს პროგრამის აღდგენა. ეს ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას. საბაგიროს ახლოს არის ტერიტორია, სადაც დაგეგმილია დიდი ტურისტული ცენტრის აგება“, განაცხადა ჰარუტუნიანმა. მისი თქმით, სოფელ კოგბში შემოთავაზებულია სასათბურე ბიზნესის პროგრამა. სოფელ ნავურში შემოთავაზებულია ინვესტიციების ჩადება პროგრამაში ხორცის გადამამუშავებელი საწარმოს და სასაკლაოს მოსაწყობად. ოჯახური ღვინის ჩამომსხმელი ფაბრიკის აგება მოხდება ვერინ კარმირის თემში. ფტგჰავანში შემოთავაზებულია ფერმერული მეურნეობის განვითარების პროგრამა, სადაც მოხდება მებაღეობის განვითარება. „პროცესი უკვე დაწყებულია, სხვადასხვა უწყებები იწვევენ პროგრამების ავტორებს განხილვის და ფინანსური რესურსების თაობაზე სავარაუდო წინადადებების გასაკეთებლად. სხვათა შორის, ერთ-ერთი სომხური წარმოშობის არგენტინელი დაინტერესებულია განდზაკარის და კოტის ბიზნეს პროგრამებით მწვანილის და ხორცის წარმოების სფეროში. იგი მზად არის, გამოუყოს ფინანსები სოფლის მცხოვრებლებს საპროცენტო განაკვეთების გარეშე ბიზნესის დასაწყებად. როგორც ხედავთ, არსებობს სხვადასხვა მიდგომები ამ პროგრამების დაფინანსებისადმი. არ არის გამორიცხული საგრანტო წინადადებების გაკეთებაც უახლოეს პერიოში“, განაცხადა ჰარუტუნიანმა. თემების გაფართოების შემდეგ რეგიონალური განვითარების ფონდი ახორციელებს რამდენიმე სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროგრამას. კერძოდ, ფონდმა დაიწყო 850 მილიონი დრამის კომპლექსური პროგრამა ქალაქ დილიჟანში. სახელმწიფო უზრუნველყოფს სხვადასხვა

სახის დახმარებას თემების გაფართოებისთვის. პროგრამები პრაქტიკულად ხორციელდება თავად თემების მიერ. ნარჩენების გასატანი მანქანები უკვე შეიძინეს ნარჩენების მენეჯმენტისთვის. თანხაში ასევე გათვალისწინებულია გზის რემონტის და დღის განათების და საგანმანათლებლო პროგრამები. ტურიზმი განსაკუთრებული ყურადღების საკითხია. რამდენიმე პროგრამა ასევე დაგეგმილია ამ სფეროს განვითარებისთვის
ARMENPRESS, 20 თებერვალი, 2017 წელი

პუბლიკაციები და სხვა

Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2017 წლის ნოემბრის #54 გამოცემა
საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე.

http://agrogeorgia.blog.com/

ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი
ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე:

http: eeas.europa.eu/delegations/georgia/.

ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან
სიახლეები იხ. ამ ბმულზე: **www.enpard.ge**

DWV & AGRICULTURE
თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში, იხილეთ ცნობები და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე:
www.dwvg.ge

Agro & Food Up-to-Date
Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტზე. http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/